

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე

#### „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2023 წლის 1 სექტემბრიდან, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიქმნა და განვითარდა შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ახალი ნორმები და მექანიზმები, რამაც გარკვეულწილად გაამართლა. აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არსებული ოფიციალური მონაცემები, მაგალითად, 2015 წლიდან („შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან) 2023 წლამდე (მასში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე), 8 წლის განმავლობაში, ჯამში სამინისტროში შევიდა ინფორმაცია მხოლოდ 3 800 უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების თაობაზე. ხოლო 2023 წლის 1 სექტემბრიდან (განხორციელებული ცვლილებების ძალაში შესვლიდან), წელიწადნახევარში, სამინისტროს შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 42 000-ზე მეტი შრომითი იმიგრანტი (სისტემაში ყოველდღიურად ემატება საშუალოდ 50-დან 100-მდე საქართველოში დასაქმებული უცხოელი).

მიუხედავად, იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით დადგენილმა ახალმა მექანიზმებმა შექმნა შესაძლებლობა უკეთ დაწყებულიყო საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირება და აღრიცხვა, არსებული ზოგადი საიმიგრაციო ტენდენციებისა და სტატისტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს ხელთ არსებული ოფიციალური სტატისტიკა სრულყოფილად არ ასახავს საქართველოში დასაქმებული უცხოელების ზუსტ რაოდენობას.

ამ პრობლემაზე საუბარი შესაძლებელია ასევე საქსტატის ოფიციალური მონაცემების გათვალისწინებითაც. მაგალითად, მხოლოდ 2022-2023 წლებში, საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შემოვიდა 239 334 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოში დარჩა მინიმუმ 6 თვეს + 1 დღე (ეს არის ის მეთოდი რითაც საქსტატი თვლის იმიგრანტებს). მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა არის დასაქმება და ეკონომიკური სტაბილურობის ძიება. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, ქვეყანაში დარჩენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური მიგრანტია. თუმცა, შრომის ბაზარზე სამინისტროს სისტემაში არსებული სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ 42 000 შრომითი იმიგრანტია რეგისტრირებული. ეს შეუსაბამობა მკაფიოდ მიუთითებს, რომ ქვეყანაში შრომითი იმიგრაციის აღრიცხვა და მონიტორინგი სრულყოფილი არ არის და არსებითად ვერ ასახავს იმ სამუშაო ძალას, რომელიც რეალურად ოპერირებს ქართულ შრომის ბაზარზე. შედეგად, რთულდება მიზნობრივი პოლიტიკის დაგეგმვა, შრომითი უფლებების დაცვა და ბაზრის რეალური სურათის ანალიზი.

ასევე, უდიდეს გამოწვევად რჩება საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლისა და დასაქმების რეალური კონტროლისა და საჭიროების შემთხვევაში დასაქმებაზე უარის თქმის მექანიზმის არარსებობა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს საქართველოში არაკვალიფიციური მუშახელის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება როგორც ადგილობრივ სამუშაო ძალაზე, ასევე შრომის ბაზრის ინტერესებზეც.

საქართველოში მიგრაციული პროცესების რეგულირებისა და მართვის უკეთესი მექანიზმების დანერგვის მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფს არალეგალური მიგრაციული ნაკადების შემცირებას, საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევას და ასევე, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შრომითი საქმიანობის უფლების სისტემის დანერგვასა და მისი აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმებს, ასევე, შესაბამის პასუხისმგებლობის ნორმებს.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების მიზნით სპეციალური ნებართვის სისტემა ან შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული შრომითი იმიგრანტის რეგისტრაციის გაუქმების მექანიზმი არ არსებობს, მაშინ როცა შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია (დასაქმების უფლება) უცხო ქვეყნის მოქალაქეს აძლევს საქართველოში ლეგალურად მუშაობის უფლებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების დიდი რაოდენობა, საქართველოში შემოდის ტურისტული სტატუსით (უვიზო მიმოსვლის ფარგლებში ან ტურისტული ვიზით), რომლებიც შემდგომ ადგილობრივი დამსაქმებლის დახმარებით იწყებენ მუშაობას საქართველოში. ასევე, უვიზო მიმოსვლის ფარგლებში შემოსული უცხოელების მიმართ, კანონმდებლობა არ ადგენს შრომითი იმიგრანტის მიერ საქართველოში შრომითი საქმიანობის უფლებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში შრომითი იმიგრაციის საკითხის რეალური რეგულირება და მართვა იქცა ძალიან დიდ გამოწვევად.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული გამოწვევების მოგვარების საუკეთესო ვარიანტი და საშუალება არის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელება და უცხოელის დასაქმებაზე სპეციალური უფლების მოპოვების მექანიზმის დანერგვა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მიგრაციული პროცესების რეგულირებისა და მართვის მექანიზმებს. აღნიშნული პოზიტიურად აისახება ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის შემცირებაზე, შრომის ბაზრის დაცვაზე და მის სტაბილურ განვითარებაზე, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები საშუალებას მისცემს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, სისტემატურად შეაგროვონ და გააანალიზონ შრომის ბაზრის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რაც საფუძველი იქნება მიზნობრივი და მოქნილი შრომითი პოლიტიკის შემუშავებისთვის. ასევე, ეკონომიკის სექტორულ ჭრილში სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დინამიკის შესწავლა მნიშვნელოვანი იქნება მიზნობრივი პოლიტიკის განსასაზღვრად რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს იმოქმედოს პროაქტიურად, შიდა შრომითი ბაზრის ინტერესების დაცვით.

პირველ რიგში, მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრება შიდა შრომითი რესურსების დაცვა. იმ ეკონომიკურ სექტორებში, სადაც დაფიქსირდება სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება, უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებას, ხოლო უცხოელი მოქალაქეების დასაქმება შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში შეიზღუდება, რათა არ მოხდეს ადგილობრივი დასაქმებულების შესაძლებლობების შეზღუდვა.

მეორე მხრივ, იმ სექტორებში, სადაც გამოიკვეთება კადრების დეფიციტი, სახელმწიფოს მიდგომა იქნება შრომითი იმიგრანტების შერჩევითი და დროებითი დასაქმება - განსაზღვრული პერიოდისთვის და ზედამხედველობის პირობებში. უცხოელ სამუშაო ძალას მიეცემა დასაქმების უფლება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც დადასტურდება, რომ შესაბამისი პოზიციებისთვის ადგილობრივი კადრები არ არის ხელმისაწვდომი. პარალელურად, განხორციელდება ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მაქსიმალურად შიდა რესურსებით დაკმაყოფილდეს. შედეგად მოხდება ადგილობრივი სამუშაო ძალის უფრო მეტად ინტეგრაცია ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზებას.

ეს მიდგომა შექმნის ადგილობრივი შრომითი რესურსების განვითარების მექანიზმებს, რაც შეამცირებს უცხოურ სამუშაო ძალაზე დამოკიდებულებას. გარდა ამისა, შრომითი მიგრაცია იქნება მხოლოდ ეკონომიკური საჭიროებით განპირობებული და მკაცრად გაკონტროლებული. შედეგად, გაიზრდება ადგილობრივი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობა, გაუმჯობესდება შრომითი მიგრაციის ხარისხი და შემცირდება არალეგალური დასაქმების მაჩვენებელი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის განმტკიცებას.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმებისთვის სავალდებულოა მხოლოდ მისი შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია (რომელსაც ახორციელებს ამ უცხოელის დამსაქმებელი). ამავდროულად, კანონმდებლობა არ ადგენს მექანიზმებს, რომლითაც შრომის ბაზრის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა უარი ეთქვა უცხოელისთვის საქართველოში დასაქმებაზე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საქართველოში არაკვალიფიციური ან ჭარბი ოდენობის მუშახელის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება როგორც ადგილობრივ სამუშაო ძალაზე, ასევე შრომის ბაზრის ინტერესებზეც.

ასევე, უვიზო მიმოსვლის ფარგლებში შემოსული უცხოელების მიმართ, რომლებიც საქმდებიან საქართველოში და რეგისტრირდებიან შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობა არ ადგენს შრომითი იმიგრანტის მიერ საქართველოში შრომითი საქმიანობის უფლებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების ვალდებულებას.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს შრომითი საქმიანობის უფლების სისტემის დანერგვასა და მისი აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმებს, ასევე, შესაბამის პასუხისმგებლობის ნორმებს.

შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად:

- ქ) შემუშავდება და დაინერგება უცხოელის დასაქმებისთვის სპეციალური სამუშაო უფლების გაცემის მექანიზმი;
- ქ) შემუშავდება აღნიშნული სამუშაო უფლების გაცემის კრიტერიუმები;
- ქ) დარეგულირდება საქართველოში უცხოელი ფიზიკური პირების შრომითი/სამეწარმეო საქმიანობა (ისეთი შემთხვევები, როდესაც არ გვაქვს კლასიკური დასაქმება);
- ქ) შემუშავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმების აღსრულების ახალი მექანიზმები და განისაზღვრება მათი აღმასრულებელი უწყებები;
- ქ) გაიზარდება საჯარიმო სანქცია იმ დამსაქმებლებთან მიმართებაში, ვინც უცხოელს დაასაქმებს სპეციალური სამუშაო უფლების მოპოვების გარეშე;
- ქ) დაწესდება საჯარიმო სანქცია თითოეული შრომითი მიგრანტისთვის, რომელიც საქართველოში სპეციალური სამუშაო უფლების გარეშე ეწევა შრომით/სამეწარმეო საქმიანობას;
- ქ) საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების სრულყოფილად დარეგულირდება და მართვის მიზნით განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები და ფუნქციები.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის 2026 წლის 1 მარტს ამოქმედებას, ვინაიდან ვინაიდან ახალი რეგულაციების იმპლემენტაციისათვის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მიეცეთ სათანადო დრო. ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში ([labourmigration.moh.gov.ge](http://labourmigration.moh.gov.ge)) რეგისტრირებულმა იმ შრომითმა იმიგრანტებმა, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტში რეგისტრაციის სტატუსი აქვთ აქტიური, არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა მოიპოვონ სპეციალური სამუშაო უფლება და შესაბამისი კატეგორიის ბინადრობის ნებართვა. ამავდროულად, არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე აღნიშნული კანონპროექტის მიღება. საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, 2025 წლის საგაზაფხულო სესია მთავრდება 27 ივნისს, შესაბამისად, ინიციატორების მიერ მოთხოვნილია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნული ხარჯები საშუალოვადიან პერიოდში საჭიროების შესაბამისად დაფინანსდება შესაბამის სახელმწიფო უწყებათა საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კანონპროექტის 16<sup>1</sup>, 16<sup>2</sup>, 16<sup>4</sup>, 16<sup>5</sup> და 16<sup>6</sup> მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევისთვის გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობების (ფულადი ჯარიმების) დაკისრების სახით. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

ასევე, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტების საქმიანობის ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა და მათ მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის გადახდა დადებითად აისახება სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება დასაქმებულ უცხოელთა რაოდენობასა და მათი ანაზღაურების ოდენობაზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მოქმედი მონაცემთა ერთიანი ბაზის დახვეწას ცვლილებებით დადგენილი ნორმების აღსრულებისთვის, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემას. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება სამინისტროს არსებული საკადრო და ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია შრომითი მიგრაციის რეგულირებაზე და ამჟამად ახორციელებს შრომითი მიგრანტების რეგისტრაციას და არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

გარდა ამისა, კანონმდებლობის ამოქმედებამდე განხორციელდება შესაბამისი საინფორმაციო კამპანიები, რათა მოხდეს იმ პირთა დროული ინფორმირება, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. აღნიშნული ასევე განხორციელდება სამინისტროს არსებული ასიგნებების ფარგლებში.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, საქართველოში შრომითი საქმიანობის უფლების, D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის, შრომითი ბინადრობის ნებართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში დასაქმებული პირის ბინადრობის ნებართვის გარეშე საქართველოში შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი უცხოელების გამოვლენას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება შსს-ს არსებული საკადრო და ფინანსური რესურსების ფარგლებში და არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტით მკაცრდება შრომითი იმიგრანტების მიერ რეგულაციების დარღვევაზე კონტროლი, ამასთან იხვეწება როგორც არსებული ჯარიმები, რაც გულისხმობს როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის დაჯარიმებას, ასევე შემოდის ახალი ჯარიმები. აღნიშნული ჯარიმები გათვალისწინებულია კანონპროექტის 16<sup>1</sup>, 16<sup>2</sup>, 16<sup>4</sup>, 16<sup>5</sup> და 16<sup>6</sup> მუხლებით. ამასთან, ცვლილებების ამოქმედებამდე გათვალისწინებულია დროის პერიოდი და აქტივობები, რათა მოხდეს იმ პირთა დროული ინფორმირება, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ჯარიმების განსაზღვრის პრინციპი ეფუძნება არსებული პრაქტიკით გათვალისწინებულ დაშვებებს. ასევე, გაანალიზებულია არსებული სხვადასხვა ჯარიმების ოდენობები, შესაბამისად მოცემულ კანონპროექტში წარმოდგენილი ჯარიმების ოდენობები თანაზომადია და შესაბამისობაში მოდის ანალოგიური სახის სხვა შენატანებთან. ემატება საჯარიმო სანქციებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება, ემატება შრომითი იმიგრანტის მიერ სამართალდარღვევის შემთხვევაში ჯარიმის დაკისრება და შინაარსობრივად შესაბამისობაში მოდის საკანონმდებლო ცვლილებებთან. შესაბამისად, კანონპროექტით განსაზღვრული მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია შემდეგი სახის ჯარიმები:

**„მუხლი 16<sup>1</sup>. შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება**

1. ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა ადგილობრივი დამსაქმებლისთვის (თითოეულ შრომით იმიგრანტზე ინდივიდუალურად)-

- გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;
2. ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა შრომითი იმიგრანტისთვის - გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;
3. თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა - გამოიწვევს თვითდასაქმებული უცხოელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, - გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.
5. ამ პუნქტით ან ამ მუხლის მე-4 პუნქტით სახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა - გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის სამმაგი ოდენობით.“.

### **„მუხლი 16<sup>2</sup>. შრომის ინსპექციის საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან უცხოელის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის წარუდგენლობა**

1. შრომის ინსპექციის მიერ ამ კანონითა და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან უცხოელის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის წარუდგენლობა -

ა) ადგილობრივი დამსაქმებლის შემთხვევაში -

გამოიწვევს:

ა.ა) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

ა.ბ) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარის ან 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

ა.გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, დაჯარიმებას 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

ა.დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 500 000 ლარს, დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

ა.ე) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 ლარს აღემატება, დაჯარიმებას 7 000 ლარის ოდენობით;

ა.ვ) ნებისმიერი სხვა დამსაქმებლის, მათ შორის, იმ პირის, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

ბ). თვითდასაქმებული უცხოელის შემთხვევაში -

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას შესაბამისი სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.“.

**16<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ კანონის 13<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების პირობის დარღვევა –

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას:

ა) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ადგილობრივი დამსაქმებლისა, რომელიც ფიზიკური პირია, – არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა;

ბ) წინა კალენდარული წლის მიხედვით 100 000 ლარის ან 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ადგილობრივი დამსაქმებლისა, რომელიც ფიზიკური პირია, – არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;

გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ადგილობრივი დამსაქმებლისა (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, – არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა;

დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ადგილობრივი დამსაქმებლისა (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება - 500 000 ლარს, – არანაკლებ 400 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 900 ლარისა;

ე) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ადგილობრივი დამსაქმებლისა (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 ლარს აღემატება, – არანაკლებ 600 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 000 ლარისა;

ვ) ნებისმიერი სხვა ადგილობრივი დამსაქმებლისა, მათ შორის, იმ პირისა, რომელიც რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად (გარდა ფიზიკური პირისა), – არანაკლებ 200 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა.“.

**„მუხლი 16<sup>5</sup>. ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ, მასთან დასაქმებული შრომით იმიგრანტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ან შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა**

1. ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ, მასთან დასაქმებული შრომით იმიგრანტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ან შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა (თითოეული შრომითი იმიგრანტისათვის ინდივიდუალურად) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. ადგილობრივ დამსაქმებელთან დასაქმებული შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ან შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

4. ამ პუნქტით ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით სახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის სამმაგი ოდენობით.“.

**„მუხლი 16<sup>ე</sup>. შრომითი საქმიანობის უფლების პირობების დარღვევა**

1. შრომითი იმიგრანტის მიერ ადგილობრივი დამსაქმებლის ან თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის ცვლილება, რომელზეც გაცემულია შრომითი საქმიანობის უფლება, ამ უფლების განახლების გარეშე, ამ შრომითი იმიგრანტისთვის- გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა –

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

3. ამ პუნქტით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით სახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის სამმაგი ოდენობით.“.

**ბ<sup>1</sup>) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ბ<sup>2</sup>) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, მარიამ ლაშხი, გიორგი ბარვენაშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, ლევან მაჭავარიანი, ზაზა ლომინაძე, ვახტანგ თურნავა, ირაკლი კირცხალია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, მარიამ ლაშხი, გიორგი ბარვენაშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, ლევან მაჭავარიანი, ზაზა ლომინაძე, ვახტანგ თურნავა, ირაკლი კირცხალია.